



საქართველო
მთავრობის

სსრ სოციალ გეზრნიოგის სამინისტროს
სამინისტროს, მეცნახეოგისა და მეღვინეოგის
სამინისტრო-კვლევითი ინსტიტუტი

НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ИНСТИТУТ САДОВОДСТВА,
ВИНОГРАДАРСТВА И ВИНОДЕЛИЯ МИНИСТЕРСТВА СЕЛЬСКОГО
ХОЗЯЙСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

ღვინის ტექნიკოგია და ბიოქიმია
საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-
ტექნიკური კონფერენციის მოსახლეთა
თვალსაზღვრა

ТЕЗИСЫ ДОКЛАДОВ
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ,
ПОСВЯЩЕННОЙ ВОПРОСАМ ТЕХНОЛОГИИ
ВИНА И БИОХИМИИ

„ვიცენიანა“
თბილისი—1971—ТБИЛИСИ



საქართველოს სსრ სოციალური მეცნიერების სამინისტროს
მეცნიერების, მეცნიერებებისა და მეცნიერების
სამსახური-კვლევითი ინსტიტუტი

НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ИНСТИТУТ САДОВОДСТВА,
ВИНОГРАДАРСТВА И ВИНОДЕЛИЯ МИНИСТЕРСТВА СЕЛЬСКОГО
ХОЗЯЙСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

ღვინის ტექნიკოგიისა და ბიოქიმიის
საკითხებისადმი მიმღვნელი სამსახური-
ტექნიკური კონფერენციის მოსახლეთა
თავისები

ТЕЗИСЫ ДОКЛАДОВ
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ,
ПОСВЯЩЕННОЙ ВОПРОСАМ ТЕХНОЛОГИИ
ВИНА И БИОХИМИИ

ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და
საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს

Посвящается 50-летию установления Советской власти в
Грузии и создания Коммунистической партии Грузии

„მეცნიერება“
თბილისი—1971—ТБИЛИСИ



663.2



პასუხისმგებელი რედაქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული
მოღვაწე, პროფესორი გ. ბერიძე

Ответственный редактор

Заслуженный деятель науки и техники
Грузинской ССР, профессор Г. И. Беридзе



80f

21/2 43 [10]

დღის შესრიგი

| | |
|--|----|
| პროფ. გ. ბერიძე — საქართველოს მეღვინეობა და მევენა- ხეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში | 7 |
| არაბიძე გ. — სიცივისა და სითბოს ამტანი საფუარის წმინ- და კულტურების გამოყოფა დასავლეთ საქართველოში | 9 |
| დარახველი გ. — ჩემუაჟის დაჩქარების საკითხისათვის | 10 |
| დერბენევათ. — ამინომჟავები სხვადასხვა საფუარა უჯ- რედებით ტკბილის დადუღების საბოლოო პროდუქტში | 11 |
| თევდორაძე გ. — კახური ტიპის ღვინის ფორმირების პრო- ცესში მიმღინარე ზოგიერთი ცვლილება | 12 |
| კიკელიძე გ. — რქაწითელი ცქრიალა ღვინოებისათვის | 14 |
| კინწურაშვილი გ. — დასავლეთ საქართველოს ღვინო- ების ხარისხის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხი | 16 |
| კინწურაშვილი რ. — სალხინოს ღვინის ხარისხის გაუმ- ჯობესების საკითხზე კვლევითი მუშაობის შედეგები | 18 |
| კურდლაშვილი გ. მ. — ყ სხივის გამოყენების შესაძ- ლებლობა ყურძნის წვენის სტერილიზაციაში | 19 |
| მაჭავარიანი ნ. — მაგნიტური ველის გავლენა საფუვრის- უჯრედებზე | 21 |
| მოდებაძე თ. — ნახევრად ტკბილი ღვინოების მორიმლავი და საღებავი ნივთიერებების გარდაქმნის შესწავლა სხვა- დასხვა სახის დამუშავებისა და შენახვის ხანგრძლივო- ბასთან დაკავშირებით | 22 |
| ნაუაშვილი რ. — ყ სხივებით გამოწვეული ღვინის შემაღე- ნელი ზოგიერთი ნივთიერების მოლექულური ცვლი- ლებები | 23 |
| როინაშვილი ც. — ყურძნის სხვადასხვა ჯიშების ფიზი- კურ-ქიმიური დახასიათება. | 25 |



| | |
|---|----|
| სირბილა ქ. — ქართული ირდინარული კონიაკების გამოყოფა რისხის გაუმჯობესების საშუალებანი | 26 |
| სირბილა ქ. — აზოტიან ნივთიერებათა ცვლილებების შე- სწავლა ღვინის ფორმირებასა და ტექნოლოგიურ პრო- ცესებთან დაკავშირებით. | 28 |
| ღლონტით. — ეთერიფიგაციის პროცესის სტიმულირება სა- კონიაკე სპირტში ბგერითი რხევების საშუალებით | 31 |
| ჩიქოვანი ნ., ბერიძე გ., კლიაჩ კორ., კამენ სკაია ე— პოლიაკრილამიდის გამოყენება სუფრის თეთრი თრ- დინარული ღვინოების წარმოების დროს. | 33 |
| ხოსიტაშვილი ვ. — ბუნებრივად ცქრიალა ღვინოების ტექნოლოგია ცივი დუღილის წესით. | 34 |
| აბაშიძე ო. — მუხის (Quercus iberica) მერქნის გულის განვითარების ბიოქიმიური თავისებურებანი | 36 |
| ვაჩაძე ნ. — ვაშლის ხის ფორმირების გავლენა ნაყოფში ნახშირწყლების შემცველობაზე | 37 |
| მაღალაშვილი ნ. — ზოგიერთი გარეშე ფაქტორის გავ- ლენა ამინომჟავათა და ორგანულ მჟავათა გარდაქმნაზე ღვინოში | 39 |
| მოსაშვილი ლ. — ამინომჟავათა ცვალებადობა ვაზის მი- ნერალურ ქვებასთან დაკავშირებით | 40 |
| მუჭირი ლ. — ზოგიერთი ალკოლოიდის არსებობის შესა- ძლებლობა ღვინოში. | 41 |
| ყანდარელი ც. — ამინური აზოტის ცვალებადობა კონია- კის სპირტის დაძველების მიხედვით | 43 |
| წიწილაშვილი ო. — კალიუმის დეფიციტის დროს ვაზის ფოთლის უჯრედის ორგანოდებს შორის კალიუმის განაწილება | 43 |
| ცისკარიშვილი ტ. — ამინომჟავათა ცვალებადობა კო- ნიაკის სპირტში მის სიძველესთან დაკავშირებით. | 45 |
| ხაჩიძე ვ. — მინერალური კვების გავლენა ვაზში ფოსფო- რის შეთვისება-გამოყოფაზე. | 45 |

РАСПОРЯДОК ДНЯ

| | |
|---|----|
| Проф. Беридзе Г. И. — Виноделие и виноградарство за годы Советской власти в Грузии | 47 |
| Арабидзе Г. В. — Выделение термофильных и холостойких рас дрожжей в условиях Западной Грузии | 48 |
| Дарахвелидзе О. К. — К вопросу ускорения ремюажа | 49 |
| Дербенева Т. Г. — О содержании аминокислот в конечном продукте брожения, полученном при сбраживании разными видами дрожжей | 51 |
| Тевдорадзе Д. М. — Некоторые процессы, протекающие при формировании вин кахетинского типа | 52 |
| Кекелидзе В. Г. — Ркакители для игристых вин | 53 |
| Кинцурashвили В. П. — Некоторые вопросы улучшения качества вин Западной Грузии | 55 |
| Кинцурashвили Р. В. — Материалы по улучшению качества вина типа Салхино | 56 |
| Курдгелашвили М. В. — Возможности применения γ -излучения для стерилизации виноградного сока | 57 |
| Мачавариани Н. Д. — Влияние магнитного поля на дрожжевые микроорганизмы | 59 |
| Модебадзе Т. В. — К изучению превращений дубильно-красящего комплекса природно-полусладких вин в результате различных видов обработки и различных сроков хранения | 60 |
| Науашвили Р. И. — Молекулярные изменения некоторых составных веществ вина под действием γ -излучения | 61 |
| Роинашвили Ц. Ш. — Физико-химическая характеристика разных сортов винограда | 62 |

| | |
|--|----|
| Сирбилаадзе М. Л. — Превращение азотистых веществ в процессе технологической обработки и формировании вин | 64 |
| Глонти Т. А. — Стимулирование процесса этерификации в коньячном спирте под воздействием звуковых колебаний | 67 |
| Чиковани Н. Н., Беридзе Г. И., Клячко И. А., Каменская Е. В. — Использование полиакриламида при производстве ординарных столовых вин | 67 |
| Хоситашвили В. Л. — Приготовление природно-игристых вин методом холодного брожения | 68 |
| Абашидзе О. В. — Биохимические особенности образования ядровой древесины у дуба (<i>Quercus ilex</i>) | 69 |
| Вачадзе Н. И. — Влияние формирования яблони на содержание углеводов в плодах | 71 |
| Магалашвили Н. И. — Влияние некоторых внешних факторов на превращение органических и аминокислот в вине | 71 |
| Мосашвили Л. А. — Изменение аминокислот в связи с минеральным питанием виноградной лозы | 73 |
| Муджири Л. А. — Возможности существования некоторых алкалоидов в винах | 75 |
| Кандарели Ц. К. — Изменение аминного азота в коньячных спиртах при выдержке | 76 |
| Цицилашвили О. К. — Распределение калия в органоидах клетки листьев виноградной лозы при дефиците его в питательных средах | 77 |
| Цискаришвили Т. П. — Изменения аминокислотного состава при выдержке коньячного спирта | 78 |
| Хачидзе В. С. — Влияние минерального питания на усвоение и использование фосфора виноградной лозой | 79 |

პროფ. გ. ბერიძე

საქართველოს მიღვინეობა და შევენახობა საბჭოთა ხელისუფლების ფლები

მეცნიერება და მეცნიერება საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითადი დაწესია. საქართველოში დამუშავებაში მყოფი მიწების მთელი ფართობიდან ვენახებს უკავია 8,1%. 1970 წლის იანვრის აღწერით საერთო ფართობი შეადგენდა 120000 ჰას, რომელიც ცალკეული რაიონების მიხედვით ასე იყოფა: კახეთი — 41,4%, იმერეთი — 23,4%, ქართლი სამხრეთ ოსეთთან ერთად — 20,2%, რაჭა-ლეჩეთი — 3,0%, დანარჩენი რაიონები ერთად 12,0%.

ვენახების საწარმოო ფართობები მდებარეობს ზღვის დონიდან 1000—1200 მ სიმაღლემდე და განლაგებულია თანაბრად, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. საერთო ფართობის 54,5% მდებარეობს 300—600 მ-ს სიმაღლეზე, 8,1% 800—900 მ-ზე და მხოლოდ 1% ზღვის დონიდან 900—1200 მ-ზე.

ქართული ვენახების ჯიშობრივი შედეგები ხსიათდება და ნაირსახეობით. სულ ცნობილია 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში, რომელთაგან მხოლოდ 20-მდეა საწარმოო ჯიში. მათ შორისაა: რქაწითელი (44,2%), საფერავი (3,3%), მწვანე (3,0%), ხიხვი (0,1%), კაბერნე (0,7%), ჩინური (5,0%), გორული მწვანე (2,4%), ალიგოტე (1,0%), პინო (0,9%), ცოლიკოური (17,2%), ციცქა (11,6%), რაჭული თეთრა (1,0%), ოჯალეში (10,2%), ალექსანდროული (0,7%), უსახელოური (0,05%), ჩხავერი (0,1%), სხვადასხვა ჯიშები (7,7%).

ქართული ღვინოების ხარისხოვანი მაჩვენებლების ზრდის ძირითადი პირობაა, უპირველეს ყოვლისა, ყურძნის მაღალხარისხოვა-



ნი ჯიშების განვითარება: საფერავის, ალექსანდროულისა და მუნიციპალურის, მწვანეს, ჩხავერის, ალიგოტეს და სხვა.

საქართველოს მევენახეობის ძირითადი მიმართულებაა მაღალ-ხარისხოვანი ოეთრი და წითელი სუფრის, ბუნებრივად ტკბილი ღვინოების, შამპანურისა და კონიაკისათვის ღვინომასალების, აგრეთვე სუფრის ყურძნის წარმოება.

უკანასკნელ დროს მსხვილი სამრეწველო ცენტრების: თბილისის, რუსთავისა და სხვა ქალაქების ირგვლივ ჩამოყალიბებულია სპეციალური მეურნეობები: დილმის, სამგორის, ვარკეთილის, გარნიულის, ლილოს და სხვ.

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს ღვინის მრეწველობის ტრესტის „სამტრესტის“ სისტემაში შექმნილია მეღვინეობის მსხვილი საწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია: წინანდლის, თელიანის, გურჯაანის, ყვარლის, ნაფარეულის, ახმეტის, ოქამის, ზესტაფონის, მცხეთისა და სხვ., თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმონი, რომლებიც თავისი სამძლავრით და აღჭურვილობით სანიმუშონი არიან მეღვინოების მრეწველობაში.

პირველადი მეღვინეობის წვრილი ქარხნები მრავალგან ორგანიზებულა ღვინის წარმოებაზე დამკვიდრებული ციკლით. უახლოეს წლებში განზრახულია ყურძნის გადამამუშავებელი პირველადი მეღვინეობის ქარხნების რეკონსტრუქცია და გადაკეთება. იქმნება მექანიკური ხაზები ყურძნის წარმოების დახურული უწყვეტი პროცესებისა და მისი დაწნებელისა მზა პროდუქციამდე. ქარხნებში მექანიზებულია ყველა შრომატევადი და მძიმე სამუშაო, საქართველოს ღვინის მრეწველობის ტრესტი „სამტრესტი“ ერთ-ერთი უძველესი საფიქრო გაერთიანებაა საბჭოთა კავშირის მეღვინეობის შრეწველობაში. მის შედგენილობაში შედის 150 საწარმოო, რომელთაგანაც 112 პირველადი მეღვინეობის ქარხანაა, 35 ჩამოსახმელი ქარხანა და 3 სარემონტო მექანიკური ქარხანა.

საქართველოს რაიონების უმდიდრესი ბუნებრივი პირობები, ყურძნის საუკეთესო ჯიშების არსებობა, ღვინის წარმოების სრულყოფილი ტექნოლოგია, დასაცველებლად შენახული დიდი და სულ უფრო მზარდი ღვინომასალების მარაგი, რაც „ოქროს ფონდს“ წარმოადგენს, იძლევა მუდმივი კონდიციის, მაღალი გემოვნებისა და ლამაზი ფერის ფართო ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვების



საშუალებას. ღვინის დამზადების ხელოვნება მოწმობს ერთს მაღალ კულტურას, რადგანაც ღვინოსთან ადამიანს შეხამებული აქვს თავისი უნარი, შესაძლებლობა, გემოვნება და ტრადიციული კულტურა რა რაც ქართველ ხალხს შეძენილი აქვს საუკუნეების განმავლობაში.

გ. პრაგიდე

სიცივისა და სითბოს ამტანი საფუარის ჯგინდა
კულტურების გამოყოფა დასავლეთ საჩართველოში

წმირია შემთხვევები, როდესაც რთველის დროს ჰაერის ტემპერატურა ძლიერ ცეცხა ან, პირიქით, ძლიერ მაღალია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ღუდილის მსვლელობასა და მიღებული ღვინის ხარისხზე. ცალკეულ შემთხვევებში ღვინო ღაუდულარი რჩება, კარგავს სასაქონლო თვისებებს და ადვილად ავადდება. ამიტომ ასეთი შემთხვევისათვის აუცილებელია სიცივისა და სითბოს ამტანი საფუარის წმინდა კულტურები.

1965—1966 წწ. შევისწავლეთ *Saccharomyces* გვარის საფუარები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში სიცივისა და სითბოს ამტანი საფუარების მტკიცე ფორმების გამოსავლინებლად.

სხვადასხვა პირობებში გამოიყო 150 კულტურაზე მეტი. ჩატარდა მათი სისტემატიკა და შემდგომი შესწავლისათვის აღებული იქნა *Sacch. vini*-ს და *Sacch. oviformis*-ის ძლიერი შტამები. ჩატარდა ლაბორატორიული და ნახევრად საჭარმოო ცდები სხვადასხვა ტემპერატურაზე, რის შემდეგ შეირჩა რამოდენიმე პერსპექტიულ სიცივისა და სითბოს ამტანი შტამი.

ამ კულტურებით 1967—1969 წწ. წარმოებდა საჭარმოო კუმკვლევები. ცდების შედეგად დადგინდა, რომ დაბალ ტემპერატურაზე ენერგიულ დუღილს აჭარმოებენ და მაღალი ხარისხის ღვინოებს იძლევიან *Sacch. oviformis*-ის სახის კულტურები — საცივის ამტანი — 5 და სიცივის ამტანი — 13. აღნიშნული კულტურები წარმოების პირობებში 6—10°C-ის ღროს აჭარმოებენ საკმაოდ ენერგიულ დუღილს, 16—18 დღეში ამთავრებენ მას და იძლევიან მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს.

მაღალ ტემპერატურაზე (30—35°C-ის დროს) კარგი შეფეხული მოგვცეს *Sacch. oviformis*-ის სახის კულტურებში: თერმოფიზიკური მა — 1 და თერმოფილური — 19-მა, რომლებიც დუღილს აწარმოებდნენ ზეღმეტი აქაფების გარეშე და 5—7 დღეში ამთავრებდნენ მას, ამასთან მიიღებოდა საკმაოდ მაღალი ხარისხის სუფრის ღვინო.

აღნიშნული კულტურები ინახება საქართველოს საცდელი სადგურის მიერობიოლოგიის ლაბორატორიაში და პირველ მოთხოვნისთანავე გაეცემა დაინტერესებულ პირებსა და ღვინის წარმოებებს.

ო. დარაჯველიძე

რემუზის დაჩარჩობის საკითხებისათვის

ბოთლური მეთოდით შამპანურის დამზადების არსებული წესი რთულია, შრომატევადია, მოითხოვს ხანგრძლივ დროს და დაკავშირებულია დიდი რაოდენობით საწარმოო წუნსა და დაუბრუნებელ დანაკარგებთან. განსაკუთრებით ძნელია მეორეული ღულილის დროს საფუვრის უჯრედებისა და ამმღვრევი ნაწილაკების მოცილება. ამ მიზნით ა. როდოპულომ და ვ. გველესიანმა პირველებმა გამოსცადეს ბენტონიტოვანი თიხა, სოფ. ასკანდან (შახარაძის რაიონი). მათ დაადგინეს, რომ ასკანგელი გავლენას არ ახდენს მეორეული ღულილის მსვლელობაზე, მაგრამ აჩვარებს რემუსლების საცობზე გადასვლას.

მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში წარმოებულმა კვლევითმა სამუშაოებმა გამოამჟღავნეს ბენტონიტების უარყოფითი გავლენა ღვინის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებსა და შამპანური ღვინის თვისებებზე.

ჩვენი მიზანი იყო ბოთლური წესით შამპანურის დამზადების თვითონირებულების შემცირებისა და პროცესუალის ხარისხის გაუმჯობესების გზების გამონახვა არსებული ტექნოლოგიის უარყოფითი მხარეების გამოვლინებითა და შამპანური ღვინის ხარისხზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორის შესწავლით. ამ საკითხის გადასაწყვეტად საწარმოო პირობებში დავამზადეთ სატირაჟე ნაზავი და დავაყენეთ ცდა ხუთ გარიანტად.

სამი წლის შემდეგ საცდელი ნიმუშების რემუსლება გვიჩვენა, რომ ლექს საცობზე გადასვლის სისწრაფე დამოკიდებულია ნაზავ-



შეტანილი გამწებავი ნივთიერების სახესა და რაოდენობაზე. ეროვნული
დეკორაციების შემდეგ განვსაზღვრეთ საცდელი ნიმუშების ძირში მიმდინარეობის
თაღი ქიმიური ელემენტები და ნახშირორეანგის დესორბციის უნა-
რი. გარდა ამისა, ნიმუშები შემოწმდა ორგანოლეპტიკურად.

ჩატარებული სამუშაოებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკე-
თოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. სატირაუ ნაზავში თევზის წებოსა და ტანინის შეტანისა
(კლასიური ხერხი) შესაძლებელია მაღალხარისხოვანი პროდუქ-
ციის მიღება, მაგრამ იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ხშირად ძნელ-
დება ღლების საცობზე გადაყვანა, დიდდება სამუშაოს მოცულობა და
წარმოების წუნი.

2. იმ შამპანიზირებული ღვინის რემუაჟი, რომლის სატირაუ
ნაზავშიც შეტანილია ასკანგელის მაღალი ღოზები, სწრაფად და ხა-
რისხოვნად მიმდინარეობს, მაგრამ ბენტონიტოვანი თიხის გავლე-
ნით პროდუქცია კარგავს თავის სინაზეს და მცირდება მისი
ცერისალისა და ქაფის მდგრადობის ხარისხი.

3. გამწებავი ნივთიერებების კომბინირებული გამოყენება მოგვ-
ცემს რემუაჟის პროცესის დაჩქარების საშუალებას, პროდუქციის
ხარისხზე უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებით.

თ. ღვრგმენვა

ამინომჟავები სხვადასხვა საფუარა უჯრედებით ტკბილის
დაღულების საგოლოო პროდუქტში

პირველად მეღვინეობაში, სპონტანური და ოლკოჰოლური ღუ-
ლილის ღროს, ღვინის საფუვრების *S. vini* და *S. oviformis* გარდა
მონაწილეობენ, აგრეთვე, ველური საფუვრები *H. apiculata* და
Z. Bailii, რომელთა ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები საინტერესო
პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით.

უცხო და საბჭოთა მკვლევრები მიუთითებენ, რომ სხვადასხვა
სახის საფუვრები ალკოჰოლური ღულილის პროცესში განსხვავე-
ბულად ითვისებენ და გამოყოფენ აზოტიან ნივთიერებებს, კერძოდ
ამინომჟავებს, გარემო არეში. მიუხედავად ამისა, ამინომჟავათა შე-
თვისების საკითხში სხვადასხვა სახეობის ღვინის საფუვრების რო-
ლი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი.



ყურძნის ჭიშ ჩინურიდან მიღებული ტკბილი დადუღული უკავშირის გამოყენებით S. vini, S. oviformis, H. apiculata და Z. Baili გამოყენებით, ამასთან ერთად შევისწავლეთ მათი როლი ამინომჟავათა შეთვისების საკითხში.

დუღილის საბოლოო პროდუქტში ქალალდის ქრომატოგრაფია ამინომჟავათა თვისობრივი შეღგნილობის რკვევისას აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა სახის საფუვრის უფრედები ამინომჟავებს ერთნაირი სისწრაფით არ ითვისებენ. საფუვრით S. vini ტკბილის დადუღებისას გარემო არეში, უფრო მეტია ორნიტინი, არგინინი, ჰისტიდინი, გლუტამინის მჟავა და ალანინი, ვიდრე საფუარა S. oviformis-ით დადუღებისას. საფუარით H. apiculata-ს დადუღებისას საბოლოო პროდუქტში მეტია ლიზინი, ორნიტინი, ჰისტიდინი, პროლინი და ვალინი. მასში საკმაო რაოდენობითაა არგინინი, გლუტამინის მჟავა და ალანინი, ვიდრე S. vini-ით დადუღებულ ღვინომასალაში. განსხვავებული სურათი მოვცა საფუარით Z. Baili დადუღებულმა ღვინომასალამ იმ ღვინომასალასთან შედარებით, რომელიც დადუღდა საფუარათი H. apiculata. Z. Baili-ით დადუღებულ ღვინოში ნაკლებია გლუტამინის მჟავა, ალანინი და პროლინი.

ჩატარებული ცდებით აღმოჩნდა, რომ საფუარებით H. apiculata და Z. Baili დადუღებული ღვინომასალები უფრო მდიდარია ამინომჟავებით, ვიდრე საფუარით S. oviformis დადუღებული. ეს განსაკუთრებით შეინიშნება არგინინის, ლიზინის, გლუტამინის მჟავის, ალანინისა და ვალინის მიმართ.

რაც უფრო მაღალია საფუარების დუღილის ინტენსივობა, მით უფრო ნაკლებია ამინომჟავათა შემცველობა მიღებულ ღვინომასალაში.

პ. თავდორადი

კახური ტიპის ღვინის ფორმირების პროცესში მიმდინარე
ზოგიერთი ცვლილება

კახური ტიპის სუფრის თეთრი ღვინის წარმოების წესი ემყარება ყურძნის წვენის დუღილს ჰაჭაზე.

ღვინის ემბრიონალური ჩასახვის პერიოდი, ყურძნის დაჭულების მომენტიდან ტკბილის დუღილში შესვლამდე, ძირითადად განსა-



ჭრავს მომავალი ღვინის ხარისხს — მის ქიმიურ შედგენილობაზე და ფიზიოლოგიური ბუნების თავისებურებას. აღნიშნულ პერიოდს ჟწოდებენ ფერმენტაცის სტადიას, ვინაიდან ფერმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნივთიერებათა გარდაქმნის პროცესში. ამ დროს ირლევა ბიოქიმიური პროცესის თანმიმდევრობა, რომელიც დამახასიათებელია მექანიკურად დაუზიანებელი ყურძნისათვის ნივთიერებათა ცვლის დროს, ალგილი აქვს ახალ ურთა-ერთდამოკიდებულებას სხვადასხვა ბიოქიმიურ პროცესებს შორის, წარმოიქმნება პირობები ნივთიერებათა სხვა გარდაქმნებისათვის.

ბიოქიმიური და ქიმიური პროცესების მიმართულება და ინტენსივობა ყურძნის გადამუშავებისას, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მტევნის მაგარი ნაწილების დაზიანების ხარისხსა და დროზე, დამუანგავ ფერმენტთა აქტივობაზე, ტემპერატურასა და ერაციაზე.

ამ პერიოდში მიმდინარე პროცესების საერთო მიმართულება გვიჩვენებს დაუანგვა-ალდგენით პოტენციალი. შევისწავლეთ Eh, pH და rH-ის ცვლილება ალკოჰოლური დულილის პროცესში. ჩვენს ცდებში დულილის პირველ სამ დღეს შეიმჩნეოდა Eh-ის გაზრდა ახლად გამოწურულ წვენთან შედარებით, შემდეგ მისი სიღალე მცირდებოდა. შემდგომ პერიოდში დაუანგვა-ალდგენით პოტენციალი შედარებით სტაბილურია.

მტევნის მაგარი ნაწილებიდან ტკბილში ექსტრაჰირებულ ნივთიერებათა დაუანგვა ძირითადად ხდება დამუანგველ ფერმენტთა მეშვეობით. შევისწავლეთ დამუანგველ ფერმენტთა აქტივობის ცვლილება ყურძნის გადამუშავების პროცესში, ალკოჰოლური დულილისას ყურძნის წვენსა და ნალექში. როგორც გამოკვლევებში გვიჩვენა, ახლად გამოწურულ ყურძნის წვენში დამუანგველ ფერმენტთა აქტივობა საკმაოდ მაღალია. დულილის პროცესში ხდება ასკორბატოქსიდაზისა და კატალაზის მთლიანი ინაქტივირება, ხოლო პოლიფენოლოქსიდაზის აქტივობა მნიშვნელოვნად მცირდება. უანგბადის შთანთქმას დულილის დამთავრების შემდეგაც აქვს აღგილი, რაც საფუვრების სუნთქვას უნდა მივაწეროთ.

ნალექში პოლიფენოლოქსიდაზის მნიშვნელოვანი ნაწილი ინაქტივირდება, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი საფუვრების მიერ ადსონიბირდება.

დამუანგველ ფერმენტთა აქტივობის განსაზღვრას ვახდენდით პოლაროგრაფიული მეთოდით.

უურადღება მივაქციეთ, აგრეთვე, ღვინის მქროლავ კარიბის უნიტეტის
თა წარმოქმნასა და ცვლილებას. როგორც ცნობილია, ზოგიერთი
მათგანი თვით ყურძნის მარცვლიდან გადადის ყურძნის წევნში, ნა-
წილი ალკოჰოლური დუღილის პროცესში წარმოიქმნება, ნაწილი კი
შემდგომში — ღვინის ფორმირების დროს. ალდეჰიდებს ვსაზღვრავ-
დით ქალალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით, რაც ეშვარება ალდეჰი-
დების საკვლევი ნიმუშიდან გასუფთავებული დიეთილის ეთერით
გამოწვლილვას, ქრომატოგრაფიულ დაყოფას 2,4- ღინიტროფენოლ-
ჰიდრაზონების სახით, ელუირებას 96%-იანი ეთანოლით და ელუა-
ტების ფოტომეტრირებას, ღვინის ფორმირების პროცესში ფიქსი-
რებულ იქნა ოთხი ალდეჰიდი. ძმრის ალდეჰიდის რაოდენობა, რო-
მელიც დომინირებს სხვა ალდეჰიდებთან შედარებით, დუღილის
პირველ დღეებში მეტია, ვიდრე დუღილის ბოლო სტადიაში, რაც
მეტყველებს მის მონაწილეობაზე ძმრის მუვისა და ეთანოლის წარ-
მოქმნაში.

შევსწავლეთ, აგრეთვე, მქროლავ მუავათა თვისობრივი და
რაოდენობრივი ცვლილება ღვინის ფორმირებისას.

3. პეპელიძე

რჩაშითელი ცრიალა ღვინოებისათვის

რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში დიდია რქაშითელის ნედ-
ლეულის ხვედრითი წონა, მისგან მზადდება თითქმის ყველა კატე-
გორის მაღალხარისხოვანი ღვინო.

საქართველოში რქაშითელის გამოყენებას ცქრიალა ღვინოების
წარმოებაში დღეისათვის პრაქტიკულად ნაკლები მნიშვნელობა ენა-
ჟება.

1967—1969 წლებში ქართლისა და კახეთის იმ მიერობის ნებისმიერები ამ ჯიშის ნარგაობათა ფართობები და თვით ყურძნის კონდი-
ციები იძლეოდა საწარმოო მნიშვნელობით ცდების წარმართვის შე-
საძლებლობას, რქაშითლიდან დავაყენეთ საცდელი შამპანური ღვი-
ნომასალები, ხოლო 1969 წლის მოსავლის ღვინომასალები შემოვი-
ტანეთ ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ქარხანაში და რეზერვუარული
მეთოდით დავამზადეთ ჭიშური ნახევრად მშრალი კონდიციის მზა-
შამპანური ღვინო.

შამპანიზაციის არსებულ წესთან (26—28 დღე) შედარებით, მუხლებით თრადი დუღილი წარიმართა უფრო ხანმოკლე პერიოდში (19—21 დღე). როგორც დვინომასალების, ისე მათი კუპაჟების მოვლა-პატ-რონობა და დამუშავება, აგრეთვე შამპანიზაციასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაცია ამ კატეგორიის ღვინოებისათვის არსებული ტექნოლოგით ჩატარდა.

ღვინომასალების სამი წლის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებისა და ქიმიური ანალიზების მონაცემების მიხედვით საუკეთესოა ქართლის ნიმუშები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ლენინგრაძის, მუხრანის, ოჯამის, კავთისხევისა და ზემოხანდაკის მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინომასალების საცდელი ნიმუშები. ზემოხსენებულ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, აგრეთვე, სურამისა და მეცვრისხევის ღვინომასალები.

ხარისხოვან შამპანურ ღვინომასალებს მიეკუთვნება კახეთის ღვინომასალები ახმეტის, იყალთოსა და ქისტაურის მიკროზონებიდან, თავიანთი შესანიშნავი გემოს, არომატისა და მაღალი სიმუავის გამო.

მზა შამპანურის ფიზიკო-ქიმიური და ორგანოლეპტიკური შემოწმების შედეგად, საცდელი ხუთი ვარიანტიდან საუკეთესო აღმოჩნდა V ვარიანტი — ქართლი პერსპექტიული (ზემოხანდაკის, კავთისხევის, ოჯამის, მუხრანისა და ლენინგრაძის ღვინომასალების ტოლი რაოდენობითი კუპაჟი) და II ვარიანტი — ქართლი (V ვარიანტის მიკროზონების ღვინომასალებისა და სურამის, მცხეთისა და ვარეთილის მიკროზონების ღვინომასალების ტოლი რაოდენობის კუპაჟი), რომელიც ღია ჩალის ფერითა და ჯიშური დამახასიათებელი ნაზი არომატით, ჰარმონიული გემოთი, სიმსუბუქითა და ნაზი ხალასიანი სიმუავით მაღალხარისხოვან შამპანურს წარმოადგენს.

IV ვარიანტი (IV ვარიანტის ქართლი 70% + I ვარიანტი კახეთი 30%) წარმოადგენს ხარისხოვან შამპანურს, სკოდაც სალი ჯიშური არომატი კარგად ერწყმის მაღალ ხალისიან სიმუავეს, ხოლო II და V ვარიანტთან შედარებით ქაფის მდგრადობა ნაკლებადაა გამოსხული.

I ვარიანტი — კახეთი (ახმეტის, იყალთოსა და ქისტაურის ტოლი რაოდენობის ღვინომასალების კუპაჟი) ყველა სხვა ვარიანტთან შედარებით გამოიჩინება ენერგიულობით, მომეტებული სხეულითა და შამპანურისათვის შედარებით ინტენსიური შეფერვით.



III ვარიანტის შამპანურს (II ვარიანტი — ქართლი 50% + კახეთი 50%) ბევრი საერთო ძევს I ვარიანტან (კახეთი), მაგრამ გაცილებით ჰარმონიულია და ქაფის მდგრადობითა და ცერიალით უკეთესია მასზე.

ინსტატუტის სადეგუსტაციო კომისიამ შამპანურის ნიმუშებს შემდეგი შეფასება მისცა ბალებით:

I ვარიანტი (კახეთი) — 8,19, II ვარიანტი (ქართლი) — 9,07, III ვარიანტი (ქართლი 50% + კახეთი 50%) — 8,56, IV ვარიანტი (ქართლი 70% + კახეთი 30%) — 8,88, V ვარიანტი (ქართლი პერსპექტიული) — 9,19, საყონტროლო (თბილისის შამპანური ქარხნის ნახ/მშრ. შამპანური) — 8,91.

სამტრესტის მუდმივად მოქმედ სადეგუსტაციო კომისიაზე გავზიარება ორმა ნიმუშმა შემდეგი შეფასება მიიღო: V ვარიანტი (ქართლი პერსპექტიული) — 9,06 ბალი და II ვარიანტი (ქართლი) — 8,94 ბალი, ხოლო ამავე კომისიის შეფასებით თბილისის შამპანური ქარხნის ამავე კონდიციის რეზერვუარული შამპანურის საშუალო წლიური შეფასებები 1970 და 1969 წლებში, შესაბამისად, 8,65 და 8,58 ბალს არ აღემატებოდნენ.

ჯიშ რქაწითლისაგან რეზერვუარული მეთოდით შამპანური ღვინის დამზადების პირველი ცდა ნათელი დამადასტურებელია იმისა, რომ ჯიში რქაწითელის გამოყენება წარმატებით შეიძლება როგორც ჯიშური, ისე კუპაჟებში სხვა ჯიშებთან ერთად მაღალხარისხის შამპანურისა და ცერიალა ღვინოების დასამზადებლად.

3. პირზურაჟვილი

დასავლეთ საჩართველოს ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების ზოგიერთი საჭირო

დასავლეთ საქართველოს ძირითადად სუფრის თეთრი და ნატურალური მოტკბო ღვინოების მურმოებელია, ასევე ძირითადი ნეტლეული ბაზაა ქართული შამპანური ღვინოების წარმოებისათვის.

როგორც ცნობილია, ღვინის ძალალი ხარისხი დაძოვიდებული ყურძნის ქიმიურ შედგენილობაზე, რასაც განსაზღვრავს ვაზის ჯიში, ნიადაგი, კლიმატი და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექს.

შევისწავლეთ დასავლეთ საქართველოს საწარმოო და პერსპექტიული ვაზის ჯიშების ტექნოლოგიური თავისებურებანი და გამოვლინეთ მაღალხარისხის პროდუქტის მომცემი ჯიშები და მათ



თვის შესაფერი მიქრობაიონები. ნაწილი დაინტერგა წარმოებაში შემცირდება, მაგრამ ზოგ მათგანს, როგორიცაა თეთრი კაპისტონი, კრახუნა, ოცხანური საფერე, ოჯალეში, გურული ჭანი, ალადასტური და კაჭიჭი, ჭერ კიდევ არ ეძღვავა ჭეროვანი ყურადღება. ამ მიმართულებით ჭერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მათი ფართოდ დანერგვა წარმოებაში დიდ როლს შეასრულებს დასავლეთ საქართველოს სუფრისა და შამპანური ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

როგორც ცნობილია, ხარისხოვანი ღვინის მიღების ერთ-ერთი პირობაა ღვინის დაყენებისა და მოვლის ტექნოლოგიური წესი. მათ შორის, მეღვინეობის ძირითადი პროცესია ტკბილის ალკოჰოლური დუღილი. ამ საკითხზე კლასიკურ მეღვინეობაში საქმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება, მაგრამ დასავლეთ საქართველოში, სადაც სუფრის როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინოების დამზადების აღგილობრივი წესია დამკვიდრებული, ტკბილის ალკოჰოლური დუღილის პროცესების შესახებ ნაკლები მასალები მოიპოვება. ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და დავადგინეთ როგორც ღვინის დაყენების რაციონალური ტექნოლოგიური წესი, ისე ტკბილის ალკოჰოლური დუღილის პროცესში მისამატებელი ჭავის დოზები და მათი გავლენა ღვინის ქიმიურ და ორგანოლეპტიკურ თვისებებზე. ასევე გავარკვიეთ სკორის ღვინის გადაღების ვადები და მათთან დაკავშირებული ქიმიური და ბიოქიმიური გარდაქმნები, რაც საფუძვლად დაედვა სკორის ღვინის აღღენას.

ღვინის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი ტექნოლოგიური ხერხია ღვინოების შერევა-დაუბაჟება. დასავლეთ საქართველოს ღვინოები ძირითადად არაკუპაჟურია; ეს საკითხი შევისწავლეთ სუფრისა და შამპანური ღვინოებისათვის. გამოვლინდა საუკეთესო კუპაჟები, რომლებიც ხარისხით უფრო მაღლა დგას, ვიდრე მათი შემადგენელი კომპონენტები. მათ შორის სკორის ღვინისათვის გამოიჩინება კუპაჟი ცოლიკოური+კრახუნა 5:1, ცოლიკოური+ციცქა 3:1 და ცოლიკოური+ცხვედიანის თეთრა 4:1; სუფრის წითელი ღვინოებისათვის: ობჩური ძელშავი+არგვეთულა საფერე 2:1, ობჩური ძელშავი+მაჩანოური საფერე 1:1 და ოცხანური საფერე+ორბელური 2:1; შამპანური ღვინოებისათვის საუკეთესო შეღეგები მოგვცა ციცქა+შარდონეს კუპაჟმა 3:1, ციცქა+თეთრი კაპისტონმა 4:1 და ციცქა+ჩხავერმა 5:1.

ღვინის ხარისხის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ელემენტია სტაბილური სიშმინდე. ამ საკითხს წლების მანძილზე ვიკვლეულით: შე-

2. თეზისები



ვისწავლეთ დასავლეთ საქართველოს ბენტონიტური თიხები, გამო-
ვავლინეთ საუკეთესო ადსორბენტები, დავადგინეთ ბენტონიტური
თიხების ღვინოში შეტანის ვადები და მათი უპირატესობა ორგანულ
გამშვენდ ნივთიერებასთან კომპლექსში, ღვინოში მათი შეტანის თან-
მიმდევრობა, რაც სრულიად უზრუნველყოფს ღვინის სტაბილურ
ჟიწმინდეს.

რ. პირველავილი

სალეინოს ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები პლეიგითი მუშაობის შედეგები

დასავლეთ საქართველოში სადესერტო ღვინოების წარმოება, მცირე ადგილი აქვს დათმობილი, ამიტომ კვლევითი მუშაობაც მკრთალადაა წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოში ყურადღებას იმსახურებს ლიქიორული ღვინო სალხინო, რომლის ტექნილოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლების შესწავლით შესაძლებელია მისი ხარისხის გაუმჯობესება.

ამ მიმართულებით კვლევითი მუშაობა ვაწარმოეთ ვარციხის ღვინის ქარხანაში, სადაც სწავლებოდა ჭურჭლის მოცულობის გავლენა სალხინოს ღვინის დავარგებისა და დამწიფების დროს და ღვინის ქიმიურ და ორგანოლეპტიკურ თვისებებზე; პარალელურად ცდებს ვაწარმოებდით ვ. სტარისელსკის სახ. საქართველოს საცდელ საღურში, სადაც ვსწავლობდით სალხინოს ღვინომასალებს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში და მათგან შედგენილი კუპაჟების სხვადა-სხვა ვარიანტებს.

მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია:

1. სალხინოს ღვინის დავარგება-დამწიფებისათვის დიზი მნაშვ-
ნელობა აქვს ჭურჭლის მოცულობას. პატარა მოცულობის ჭურ-
ჭლში სალხინოს ღვინის შენახვის პროცესში მატულობს ტიტრული
ნუავიანობა, მქროლავი მუავიანობა, რკინა, ტანინი, ღვინის მუავა, რი-
თაც ირლვევა ღვინის შემაღენელ ელემენტთა შეთანაწყობა და ცუდ
გავლენას ახდენს ღვინის ორგანოლეპტიკურ თვისებებზე.

2. სალხინოს ღვინის დასავარგებლად და დასამწიფებლად საუკე-
თესო ჭურჭელია 30 დალ მოცულობის კასრი, სადაც ღვინო მოკლე
დროში აღწევს ბოთლში ჩამოსხმის მდგომარეობას — დამწიფებას.



3. შესწავლითი კუპაუებიდან მაღალი ორგანოლეპტიკური მაჩვირებელი გვენებლებით გამოირჩევა. იზაბელა შემაგრებული, იზაბელა ფაუშ-წვენი, კარგ პროდუქტს წარმოადგენს ჭუბაუი იზაბელა შემაგრებული, ძელშავისა და მგალობლიშვილის ვაკუმწვენი.

მ. პურილელაშვილი

γ სხივის გამოყენების შესაძლებლობა ყურძნის წვენის სტარილიზაციაში

კვების პროდუქტების სტერილიზაციის პრობლემა ყოველთვის იწვევდა და იწვევს მკვლევართა საერთო ინტერესს. ასეთი, რთული საკითხის გადასაწყვეტად უნდა შემუშავდეს ისეთი ფიზიკური და ქიმიური მეთოდები, რომელთა ზემოქმედებითაც უზრუნველყოფილი იქნება კვების პროდუქტების სტერილურობა მაღალხარისხოვანი თვისებების შენარჩუნებით.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი კვლევები წარმოებს ისეთი ფიზიკური მეთოდების და საზუსტებლად, როგორიცაა: ულტრაბეგრა, მაღალი სიხშირის დენი, ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივები, რენტგენისა და კაონდური სხივები, γ-სხივები და სხვა. მიუხედავად ზოგიერთი მათგანის უპირატესობისა, მათი გამოყენება პრაქტიკაში ჯერ კიდევ საჭმაოდ შეზღუდულია და თხოვულობს. კვლევის შემდგომ გაგრძელებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებალეობის, მეცნიერებლისა და მეცნიერობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნოლოგიის განყოფილებაში 1956 წლიდან ისწავლება მაინიზებელი γ-სხივების გავლენით ყურძნის წვენის კონსერვაციისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები.

საკითხის შესასწავლად ახლად გამოწურულ ყურძნის წვენს ვას-ხივებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მცირე სიმძლავრის Ce^{60} -ის დანადგარზე კარსანში (თბილისი), ხოლო მძლავრი Ce^{60} -ის დანადგარზე ქ. ტულაში 0,5—5,0 მრად დოზებზე.

დადგინდა, რომ γ-სხივები გავლენას ახდენს ყურძნის წვენის როგორც გარეგნულ, ისე შინაგან თვისებებზე. γ-სხივის დოზის

ჭრის. შესაბამისად საგრძნობლად იცვლება ყურძნის წვენის ფაქტი ეზის უფრო დაწერდილი, ღია და გამჭვირვალე ხდება, ზოლო მა მრთველუფრო მჩატე. და უპარმონიო, დასხვებული ყურძნის წვენი ნიმუშებში ალკოჰოლური დუღილის ქნერგია საგრძნობლად მცირდება საკონტროლოსთვის შედარებით და პირდაპირ დამოკიდებულებაშია უ-სხივის დოზის სრიდედესთან.

უ-სხივის დაბალი დოზები იწვევს საფუვრის უჭრედის ნაწილებრივ ინაქტივაციას. და ყურძნებს წვენის ალკოჰოლური დუღილი გახანგრძლივებას. დოზის, გადაჯდებით საფუვრის უჭრედები იმდენად ღარიბდებიან გლიკოგენით და იმდენად ითრგუნებიან, რომ საკმაოდ ქანგრძლივ დროში დუღილის ქნერგიას კარგავენ.

3,5—5,0 მრად დოზებზე დასხივებული ყურძნის წვენის ნიმუშებში შემჩნეულია საფუვრის უჭრედის შიდა სტრუქტურის დარღვევა, მათი გარსის დეფორმაცია და დიღი რაოდენობით საფუვრის უჭრედების დალუპვა, მაშინ როცა საკონტროლო ნიმუშებში ეს უკანასკნელი მაღალი აქტიურობით ხსიათდებიან და მიმდინარეობს ჩატრია ალკოჰოლური დუღილი. 2,0—5,0 მრად დოზებზე დასხივება იწვევს საფუვრის უჭრედის სრულ ინაქტივაციას და ყურძნის წვენის პასტერიზაციას.

დაიდი სიმძლავრის C₆₀-ის გამოყენების დროს პროდუქტი უდასხივებას მოქლე დროში ღებულობს, რაც ნაკლებად მოქმედებს პროდუქტში მიმდინარე ქიმიურ გარდაქმნათა ცვლილებებზე და, ამავე დროს, უფრო დაბალ დოზებზე ხდება საფუვრის უჭრედის ინაქტივაცია.

პძლავრი C₆₀ (800 p/სეკ)-ს გამოყენების დროს მიღწეულია ყურძნის წვენის პასტერიზაცია 1,0 მრად დოზაზე. ობის ბაქტერიების დასტრუქცია დაგუნავად, რომლებიც ყურძნის წვენში რაიმე მიზეზით მშევდა, 5,0 მრად საკმარისი არ აღმოჩნდა.

უ-სხივის დოზის ზრდის შესაბამისად პირველხანებში მცირდება არღვაჭული ნივთიერებანი, ოდნავ იცვლება თავისუფალ ამინომჟავათ, გამზირი, რაც გამოიხატება არგინინის შემცირებაში 3 მრად-ით დასხვებების დროს. დანარჩენი ამინომჟავები, ნახშირწყლები და სხვ. თითქმის უცვლელია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უ-სხივები რაიმე სპეციფურ, ცვლილებებს არ იწვეს, რის გამოც მათი გამოყენება შეიძინდა.



ლება რომელიმე სხვა მეთოდებთან კომიტინაციაში, რომელის, დრო— ეს მუნიციპალიტეტი საც შესაძლებელი იქნება. უ-სხვევის შედარებით დაბალი დოზების შერჩევა ყურძნის წვენის ცვი სტერილიზაციისთვის.

ნ. მაჟავარიანი

მაგიტური ველის გაცლენა საფურის უჯრედებზე

მეღვინეობის მრეწველობა, ნერგავს რა ახალ ტექნიკას, ტარის ახალ სახეებს და დამუშავების ახალ ფიზიკურ მეთოდებს, ახალ აკექტში იხილავს ღვინის დაწმენდის, მდგრადობისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

წამოჭრილი საკითხების გაღასაჭრელად საჭირო ხდება ახალ ახალი მეთოდების გამოყენება, რაც აუცილებელს ხდებს დამატებითი კვლევითი სამუშაოების ჩატარებას გამოყენებითი დარღების ჩაბმით.

უკანასკნელ პერიოდში გამოიჩვა, რომ გარემო პირობების ფიზიკურ ფაქტორთა უმრავლესობას, რომლის ურთიერთკავშირში მიმღინარეობდა ცოცხალი ორგანიზმების ევოლუცია, აქვს ელექტრომაგნიტური ბუნება.

ამასთან ერთად, ექსპერიმენტების შედეგებმა დაგვანახეს, რომ მაგნიტური ველი თავისი მოქმედების სფეროში არ იწვევს დასხივებული ობიექტების დენატურაციას. ამ მოვლენამ განაირობა ამ ფიზიკური ფაქტორის გამოყენება ღვინის დამუშავებაში მის დამწიფების დაჩქარებისა და სტაბილობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ გზადაგზა ვსწავლობდით წამოჭრილ საკითხებს, კონკრეტულ შემთხვევაში მუდმივი მაგნიტური ველის გავლენას მიკრორგანიზმებზე, კერძოდ საფუარებზე.

ჩვენი მიზანი იყო დუღილის პროცესის რეგულიაციის შესაძებლობათა აღმოჩენა, თერმული ეფექტის გარეშე.

ერთ-ერთი შესაბამწავლი საკითხია მუდმივი ელექტრომაგნიტური ველის (მ. ე. ვ. ვ.) გავლენა გიგანტური კოლონიების განვითარებაზე.

საცდელად აღებული იყო შემდეგი სახის საფუარა ორგანიზმები: კახური — 42, კარდანახი — 32 და საფურავი 53.

ექსპერიმენტების შედეგები, საშუალებას გვაძლევს დავისკანათ, რომ საფუვრების არა მარტო სხვადასხვა სახეობაზე, არამედ

განსსვაფებული ინდივიდებმათა და იმავე სახეობის განცხადებულ
უჯრედებზე მ. ე. მ. ვ. სტვარაძესხვაგვარ გავლენას ახდენს ალექსანდრ
რაოდენობრივად, ისე თვისიობრივები.

მ. ე. მ. ვ. ბოქმელებით დიღდება გიგანტური კოლონის მოცულობა და რცვლება მათი ფორმა, სცილდება რა ნორმის ფარგლებში. ამასთან ალსანიშნავია, რომ საფუარებში კოლონის ფორმა არა ჩალებ განმახვავებელ ნიშნად ითვლება ვიდრე ცალკეული უჯრედების ფორმები.

საინტერესო იყო დაგვეღინა, კონკრეტულად რა იწვევს გეგან-
ტური კოლონიების ბიომასის გადიდებას, რომლებიც მოთავსებულ
ნი იყვნენ მ. ე. მ. გ. მოქმედების პრეში. შესაძლებელი იყო გამო-
გვეტანა ორი წინასწარი მოსაზრება: ეს შეიძლება გამოწვეული
ჟოფტლისყო ან ცალკეული უჯრედების ზომის გადიდებით, ან უჯრე-
დების გამრავლების ინტენსიურობის გადიდებით. მიკროსკოპულმა
გამოკვლეულებმა დაბალა ტურ პირველი დებულება.

გამოქვლევების შედეგები საშუალებას გვაძლევენ განვაზოგადობა:

1. მუდმივი ელექტრომაგნიტური ველის (მ. ე. მ. ვ.) მოქმედება ყველაზე შესამჩნევად ვლინდება გამრავლებისა და ინტენსიური ცხოველმოქმედების პერიოდში.

2. სსვალასხვა საფუარის უქრელებს მ. ე. მ. ვ. მოქმედების შედეგად ეცვლებათ ორგანიზაცია და ფუნქცია, ხდება ჰიპერტონია და დეფორმაცია როგორც მთელი უქრედისა, ისე ბირთვისა.

3. Հոգովրդ Քանի, թ. ց. թ. զ. Տիգարեցն Սամուռացքելու Յրույսեցն,
Կուլտուրեցն պատճեն Եղանակ Առնեցը Տոմունցուն Տիգանաւուն.

G.P.A. 6046.2

ნახევრად ტპგილი ღვინოების მოსიმალავი და საღებავი ნივთიერებების გარდაკმარის შესრულება საჭიროა.

დამუშავებისა და გენერიკული ცოდნასთან

ପ୍ରକାଶକଳେଖଣି

მორიმლავ-საღებავი კომპლექსის გარდა მნის საკითხი ნახევრად
ტკბილ წითელ ღვინოებში ნაკლებადა შესწავლილი, მიუხედავად
მისა ეს საკითხი მეტად საინტერესოა მეღვინეობისათვის.



ლაბორატორიულ პირობებში ცივი სტერილიზაციით (სტერილური ფილტრაცია და ულტრაიმძლევრი სხივები) და ოერმიულად დავამუშავეთ ნახევრად ტკბილი ღვინოები „ახაშენი“ და „ხვანჭე-კარა“, რომელთა დავაჩერება ხდებოდა სარდაფში 15—20°-ის პირობებში. მათ გაიარეს ნახევრად ტკბილი ღვინოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური ციკლი.

სტერილური ფილტრაციით წითელი ღვინის „ხვანჭეკარის“ და შუშავებისას სალებავი და მთრიმლავი ნივთიერებების დანაკარგი შეადგენდა 40—45%-ს.

წითელი ნახევრად ტკბილი ღვინოების მთრიმლავ-სალებავი ნივთიერებებს გარდაქმნისა და მათი დაძველების ხარისხის ხასიათის გამოსარკვევად ჩავატარეთ სპექტროფორომეტრული ანალიზი და შევისწავლეთ მთრიმლავი და სალებავი ნივთიერებების შემცველობის შემცირების დინამიკა საკონტროლო და საცდელ ნიმუშებში.

სპექტროფორომეტრულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა აბსორბციის მრულისა და კოეფიციენტის მიხედვით დაგვედგინა ღვანის შეფერილობის ხარისხი. მისი სიდიდე სტერილური ფილტრაციის შედეგად იზრდება, რაც მიუთითებს, რომ საცდელი ღვინოების შეფერვის ხარისხი შეიცვალა დაძველების მიმართულებით. შეფერილობის ინტენსივობა შემცირდა სტერილური ფილტრაციის პროცესში. საცდელი ღვინოების აბსორბციის მრუდები უფრო ბრტყელ-თვისნი და ოვალურია, ვიდრე მათი შესაბამისი საკონტროლო ნიმუშებისა.

რ. ნაუცვილი

γ სხივებით გამოწვეული ღვინის ჟავადგენელი ზოგიერთი ნივთიერების მოლექულური ცვლილები

γ სხივების მოქმედებით ორგანული და არაორგანული ნივთიერების წყალხსნარები განიცდიან გარდაქმნას, აღვილად ჟანგვადი იქანება, აღდგენადი კი აღდგება.

პროცესები, რომლებიც ღვინის დამწიფებისა და ფორმირებისას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, ჟანგვა-აღდგენითი ხასიათისაა, ამიტომ ამ პროცესის წარმართვა მეღვინეობის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

მათინიზირებული სინათლის წყაროდ გამოვიყენეთ იზოტოპი Co^{60} .



γ (გამა) სხივების სხვადასხვა ღოზით (2000 რეფ-დან 1.10⁶ მდე) დავასხივეთ ეპრობული და კანური ტიპის ღვინო ტევადობის კონიაკის ბოთლებში.

დასხივებული ღვინის ამინომჟავათა ცვლილებების შესასწავლად ღვინის პარალელურად დავასხივეთ ამინომჟავათა წყალსნარები ორ პარტიად; 50 მლ ტევადობის ბოთლებითა (კორპის საცობით) და ჰერმეტულად დახურული ამპულებით (ჰაერის უანგბადის გავლენის შესასწავლად).

ამინომჟავებიდან შევისწავლეთ ა-ალანინი, β-ალანინი, ცისტეინი, ტრიპტოფანი, ტიროზინი, ლეიცინი, ლიზინი, ჰისტიდინი, ნორვალინი, სერინი, ვალინი.

როგორც ღვინის, ისე ჩვენ მიერ დამზადებული ხსნარების ამინომჟავათა ცვლილებები შევისწავლეთ ქალალდის ქრომატოგრაფირსა და სპექტრალური მეთოდებით (სპექტრომეტრი CΦ-4 და CΦ-5). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამინომჟავები როგორც ღვინოში, ისე ხელოვნურ ხსნარებში განიცდის დეზამინირებას. ამინომჟავათა დეზამინირებას დასხივებულ არეში ძირითადად წარმართავს რადიკალი, რომელიც ჰაერის უანგბადის გავლენით წარმოქმნება.

ჰერმეტულად დახურულ ამპულებში დასხივებულ ამინომჟავათა ხსნარებში ცვლილებები არ აღინიშნება.

γ სხივებით გამოწვეული ღვინის თვისობრივი ცვლილებები შევისწავლეთ ოპტიკური მაჩვენებლების, ორგანოლეპტიკური და ღვინის დამახსახითებელი ფიზიკური ფაქტორების მიხედვით.

ღვინის ფერი დაბალი ღოზიდან 20 000 რეფ-მდე თანალათან მუქ-დება, 20000 რეფ-დან 250 000 რეფ-მდე ბაცდება საკონტროლოსთან შედარებით, ხოლო 250 000 რეფ-დან 1.10⁶ რეფ-მდე ღვინის ფერი ჩალისფერიდან გადადის მუქ მოყვითალო-მოწითალო ფერში.

დასხივებულ ღვინოში ხევდრითი წონა საკონტროლოსთან შედარებით მცირდება, სიბლანტე იზრდება. ღვინის ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი, საკონტროლოსთან შედარებით, დასხივებულ ღვინოში დოზის ზრდის მიხედვით მცირდება, შემდეგ იზრდება.

საკონტროლო და დასხივებული ღვინის ექსტრაქტებზე მიღებული გოგირდის ეთერით 90 საათიანი ექსტრაქციითა და ამინომჟავამოცილებული ღვინოებიდან ვაკუმით ფასავილეთ შთანთქმის სპექ-



ტრი საკონტროლო და დასხივებულ ღვინოებზე. ყველა შემთხვევა ასეთი შემთხვევა არ გვხვდება მაღლა იწევს და მაღლა ღოზაზე შთანთქმის სპექტრში აღინიშნება ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის ბუნებრივი მომწიფებისას სპექტრში ისეთივე ცვლილებები აღინიშნება, როგორიც ახალგაზრდა დასხივებული ღვინის სპექტრში (ზოგიერთ ღოზაზე).

3. როინაშვილი

ყურძნის სხვადასხვა ჯიშების ფიზიკურ-გიგიური დანასიათება

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მევენახეობა-მეღვინეობა წამყვან როლს ასრულებს.

ყურძნის გადამუშავების სხვა პროდუქტებთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ყურძნის წვენი.

აქტუალურ საკითხაზ ითვლება ისეთი პროდუქციის წარმოება, რომლის გემური, კვებითი, დიეტური, სამკურნალო და სხვა თვა-სებები შეცვლილი არ იქნება.

მაღალხარისხოვანი წვენის მისალებად საჭიროა ისეთი ჯიშების შერჩევა, რომლებსაც ექნებათ სასიამოვნო გემური თვისებები და ჰარმონიულობა, მაგრამ ერთი და იგივე ჯიში სხვადასხვა რაიონში შაქრიანობისა და მუკავიანობის არაერთნაირი შემცველებით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია ნიაღაგური და კლიმატური პირობებით. ამ უკანასკნელმა განაპირობა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სხვადასხვა რაიონებიდან (კახეთი, ქართლი, იმერე-თი) აღებული ყურძნის 17 ჯიშის შესწავლა.

ცვლილებები, რომლებიც ყურძენში მიმღინარეობს მისი ზრდის, განეითარებისა და დაქრეფიღან გადამუშავებამდე დაყოვნების პერიოდში, საგრძნობ გავლენას ახდენს მიღებული წვენის კვებით ღირებულებასა და გამძლეობაზე.

ჯიშთა ფიზიკო-ქიმიური და ორგანოლეპტიკური შემოწმების შედეგად შესაძლებელია აღინიშნოს, რომ:

1. ყურძნის წვენის წარმოებაში აუცილებელი პირობაა ყურძნის განახილება, საღი ნაყოფის შერჩევა, რათა მიღებული საბო-



ლოო პროდუქცია ხასიათდებოდეს სასიამოვნო გემური ჰავუტების და ფერით.

2. საქართველოს პირობებში (ქართლი, კახეთი, იმერეთი) აშენა უპირატესობა ეძლევა კახეთში არსებულ ვაზის ქართულ ჯიშებს.

ა) კახეთში ყურძნის წვენისათვის დამაყმაყოფილებელი კონდიციისაა რქაწითელი, მხარგრძელი, ჩინური, კუმსი ყვითელი, ციცქა კუმსი შავი, თეთრი და წითელი ბუდეშური, რომლებიც, მიუხედავად დაბალი მჟავიანობისა, არომატულ ნაზ, მჩატე, ხალისიან ყურძნის წვენს იძლევიან;

ბ) ქართლის პირობებში გამოიჩინა ჩინური, მცვივანი, კუმსი, ყვითელი, დანახარული, გორული მწვანე, რომლებიც კახეთის ჯიშებთან შედარებით დაბალი შაქრიანობისაა, მაგრამ დანარჩენი კომპონენტები ურთიერთთან ფრიად შერწყმული არიან.

გ) ქართლისა და კახეთის ჯიშებთან შედარებით იმერეთის ჭრები ძლიერ მაღალი მჟავიანობისა და შაქრის შედარებით ნაკლები შემცველობისაა.

ა. სირბილაძე

ძართული ორდინარული კონიაგების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებანი

შესწავლილია ზოგიერთი ფაქტორის როლი კონიაკის ღვინოში-სალების, კონიაკის სპირტებისა და მზა პროდუქციის ქართული ორდინარული კონიაკების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

კერძოდ, დაბალშაქრიანი (16,1%) ყურძნის ტკბილი მაღალშაქრიან (20,5%) ყურძნის ტკბილთან შედარებით ხარისხოვან ღვინო-მასალას იძლევა კონიაკის წარმოებისათვის. იგი გამოიჩინა ხალიანი მჟავიანობით, ზომიერი სხეულით, სასიამოვნო არომატით, რაც დადებით გავლენას ახდენს მისგან მიღებული კონიაკის სპირტის ქიმიურ-ორგანოლეპტიკურ შედგენილობაზე.

ყურძნის ტკბილის წინასწარი დაწმენდა გოგირდოვანი მჟავას ან პიღირიდისა და სიცივის გამოყენებით, ღვინოშალების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისას, უფრო დადებით ეფექტს იძლევა, ვიდრე ცენტროფუგირება. ტკბილის ცენტროფუგირებისას



თდგილი აქვს ზედმეტ დაუანგვას, კიშირი არომატის შემცირებას, უარყოფითად მოქმედებს ღვინომას სარისხზე.

ეთერების შედარებით დიდი ოდენობით წარმომშობი საფუვრების (*H. anomala*, *Z. Bailii*, *S. oviformis*) წმინდა კულტურები ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის პროცესში მონაწილეობისას იძლევიან ხილის არომატის მქონე მაღალი ღირსების ღვინომასალებს, რომელთაგან მიღებული კონიაკის სპირტები გამოირჩევიან სასიამოვნო ჰარმონიული რბილი გემოთი.

საღი ყურძნის ღვინომასალებთან შედარებით *B. cinerea*-თ, დაავადებული ყურძნის 10—15% დურდოსა და ტკბილზე დაღულებული ტკბილიდან მიღებული ღვინომასალები გამოირჩევიან საერთო ეთერების ოდენობითი შემცველობით და გაუმჯობესებული გემოვნებითი თვისებებით; ასევე, საღი ყურძნის 10—15% ჭაჭაზე ტკბილის დაღულებისას მოსალოდნელია ღვინომასალების ხარისხის გაუმჯობესება.

თბოდამუშავებით მკვეთრად უმჯობესდება ღვინომასალებისა და მათგან მიღებული კონიაკის სპირტების ქიმიურ-ორგანოლეპტიკური შედგენილობა. ღვინომასალებში გაიზარდა მქროლავი ეთერებისა ზაფურფუროლის კონცენტრაცია, შემცირდა მქროლავი მუავების, ღვინის მუავის, პენტოზანების, პენტოზების, პოლიფენოლებისა და ზოგიერთი ამინომუავს (პისტიდინი, ასპარაგინის მუავა, სერინი, გლუკონი, გლუტამინის მუავა, პროლინი, ვალინი და ფენილალარინი) შემცველობა.

40°-ზე 40—50, 50°-ზე 50—60 და 60°-ზე ათი დღელამით დამუშავებული ღვინომასალები და მათგან მიღებული კონიაკის სპირტები შეკვეთრად გამოხატული ორიგინალური სასიამოვნო არომატისა და ჰარმონიული რბილი გემოსია.

თბოდამუშავებული ღვინომასალების ნედლი სპირტების ბოლონახადი ფრაქციებისა და დაუმუშავებელი ღვინის ნარევის (1—5) ორჯერადი გამოხდით მიღებული კონიაკის სპირტები აღჭურვილია ქიმიურ კომპონენტთა ოპტიმალური ოდენობითი შემცველობით და მაღალი გემოვნებითი თვისებებით. ამ მხრივ 50—60°-ზე ორი თვეობა დამუშავებული ღვინომასალების ნედლი სპირტების ბოლონახადად, ფრაქციებთან შედარებით, უფრო ეფექტურია 30—40°-ზე დამუშავებული ღვინომასალების ნედლი სპირტების ბოლონახადი ფრაქციები.



ღვინომისალების მსგავსად დადგინდა კონიაკის სპირტუმშავების ქართული ორდინარული, კონიაკების თბოდამუშავების ოპტიმალური რეჟიმი. ორი თვის განმავლობაში 50—60°-ზე კონიაკის სპირტების თბოდამუშავებისას მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კონიაკის სპირტების ქიმიურ-ორგანოლეპტიკური შედგენილობა; კონიაკის სპირტებში აღინიშნა ალფეპიდების, აცეტალების, მქროლავი და მეავი ეთერების ინტენსიური კონცენტრაცია, გაძლიერდა დამახსასათებელი არომატი; ჰარმონიული და რბილი გახდა გემო. 50°-ზე 60 დღელამით დამუშავებისას აღინიშნა სამვარსკვლავიანი კონიაკის გემოვნებითი თვისებების გაუმჯობესება; ოთვარსკვლავიანი კონიაკის გემოვნებითი თვისებების გაუმჯობესებისათვის სათანადო ეფექტია. მიღებული 40°-ზე მისი 40 დღელამით დამუშავებისას.

50°-ზე 30—40 დღელამით დამუშავება მკვეთრად აუმჯობესებს ხუთვარსკვლავიანი კონიაკების ქიმიურ-ორგანოლეპტიკურ შედგენილობას.

მ. სირბილაძე

აზოტიან ნივთიერებათა ცვლილებების შესწავლა ღვინის ცორმირებასა და ტექნოლოგიურ პროცესებთან
დაკავშირებით

ყურძნის წვენისა და ღვინის აზოტიანი ნივთიერებანი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ღვინის ჩამოყალიბებაში. მიუხედავდ უკანასკნელ წლებში ამ დარღმი ჩატარებული უამრავი სამუშაოებისა, წვენისა და ღვინის აზოტიანი ნივთიერებანი ჯერ კიდევ საკმარისად არ არის შესწავლილი. საბოლოოდ არ არის დადგენილი ცალკეული ამინომჟავების გარდაქმნები ღვინის ფორმირების პროცესში, ამასთან, რაც მთავარია, მონაცემები უმთავრესად თვისობრივი ხასიათისაა.

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ აზოტიან ნივთიერებათა შემცველობა და მათი ცვლილებები ჯიშ მწვანესა და რქაწითელის ყურძნიდან დამზადებული ევროპული ტიპის ღვინოების ფორმირების პროცესში (ალკოჰოლური ღულილი, გადალება, ფილტრაცია, გაწებვა). აზოტიან ნივთიერებათა სხვა ფორმებთან ერთად ისწავლებოდა თავისუფალ ამინომჟავათა ცალკეული წარმოძადგენლების შედგენილობა და გარდაქმნები ქალალდზე ორმხრივი ქრომატოგრაფიკულ მეთოდით და : კორმატური ამინოანალიზატორის დახმარებით.

იონმცვლელი ფისქბიდან ამინომუავათა ელუაციისათვის ნასწარ გამოვცადეთ მარილმუავიანი და ამიაკიანი ხსნარები. გამო- რჩვა, რომ მარილმუავით უფრო მეტი ამინომუავები ელუარდება, ვიზუ ამიაკით. გამონაკლისს შეადგენს ლიზინი, თიროზინი, მეთი- ონინი, ვალინი, რომელებიც ამიაკიან გამონაწურში მცირედ ჭარბობს. პროლინი ორივე ხსნარში თანაბრადაა მოცემული.

ჩატარებული ტესპერიმენტების საფუძველზე შეიძლება და- ვასკვნათ, რომ სხვადასხვა ჯიშის ყურძნიდან ერთი და იგივე ტექ- ნოლოგიით ღვინის დამზადების პროცესში აზოტიან ნივთიერებათა ცვლილებები ძირითადად ერთნაირი კანონზომეერებით მიმდინარე- ბობს და ეთანხმება ჩვენს აღრეულ მონაცემებს; ალკოჰოლური ღუ- ლილის პროცესში შაქრის დაღულების პარალელურად მკვეთრად ეცემა აზოტიან ნივთიერებათა რაოდენობა საფუვრების მიერ მათი ასიმილაციის გამო, ხოლო მძაფრი ღულილის დამთავრების შემდეგ კვლავ იზრდება ავტოლიტური პროცესების გაზრდასთან დაკავშირე- ბით. მატება განსაკუთრებით შესამჩნევია ღვინის პირველი და მე- ორე გადაღებისას.

ჯიშური თავისებურება მკვეთრადაა გამოხატული აზოტიან ნივთიერებათა რაოდენობრივ შემცველობასა და გარდაქმნის ინტენ- სივიბაში; მწვანეს ყურძნის წვენი თითქმის ორჯერ ნაკლები რაო- დენობით შეიცავს აზოტიან ნივთიერებებს რქაწითელთან შედარე- ბით, სამაგიეროდ აღნიშნულ ნაერთთა გარდაქმნები მწვანედან დამ- ზადებულ ღვინოში უფრო ინტენსიურია, ვიზუ რქაწითელის ღვი- ნოში.

თავისუფალ ამინომუავათა ცალკეული წარმომადგენლების შეს- წავლამ გვიჩვენა, რომ მწვანესა და რქაწითელის ყურძნის წვენში ამინომუავათა თვისობრივი შედგენილობა და მათი ურთიერთშეფარ- დება ერთნაირია; ძირითად ამინომუავებს წარმოადგენენ არგინინი და ალანინი. საკმაო რაოდენობით არიან: პროლინი, სერინი, იზო- ლეიცინი, გლუტამინის მჟავა, ტრეონინი და ვალინი. საშუალოდ მოცემულ ამონომუავათა რიცხვს ეკუთვნიან ასპარაგინის მჟავა და ვისტიდინი. მცირედ არიან წარმოადგენილნი ლიზინი და ტიროზინი, ძლიერ მცირედ — მეთიონინი, გლიცინი, ფენილ-ალანინი და ლეი- ცინი, კვალის სახითაა ცისტინი+ცისტეინი და ლაქა ორნიტინის აღ- გილზე, მცირე რაოდენობითაა აგრეთვე 4 უცნობი ამინომუავა.

ღვინოში აღნიშნული ურთიერთშეფარდება მკვეთრად იცვლე-



ბა, რაც გამოწვეულია ცალკეული ამინომჟავების სხვადამტკიცებული გარდაქმნით ღვინის ფორმირების პროცესში.

არგინინი ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დაძველების პროცესში განუწყვეტლივ კლებულობს. იგი ძველ ღვინოებში ან მცირე რაოდენობითაა დარჩენილი ან სრულიად არ არის. ჩვენი კვლევის შედეგად არგინინის შემცირება ნაწილობრივ ლექში გადასცლით უნდა აიხსნას.

პროლინი დუღილის დამთავრებამდე ინტენსიურად მატულობს, შემდგომ პერიოდებში, პირიქით, მცირედ კლებულობს. ის ევროპული ტიპის ღვინოებისათვის ძირითადი ამინომჟავა და პროცენტულად უფრო მაღალი შემცველობით გროვდება მშვანეში, ვიდრე რქაშითელის ღვინოში.

ტრეონინი, ვალინი, გისტიდინი, სერინი, ალანინი, იზოლეიცინი, საბარაგინის მჟავა და თიროზინი დუღილის დაწყებიდან მესამე დღეს, როდესაც შაქარი 50%-მდე შემცირდა, საცდელ სითხეში გაქრნენ, ხოლო დუღილის დამთავრებიდან ერთი დღის შემდეგ სხვადასხვა ვადებში კვლავ თანდათან გაჩნდნენ. 82 დღის შემდეგ (1-ლი გადაღება) პირველი სამი ამინომჟავა 15—20% იყო, ხოლო სანარჩენები, შესაბამისად, 25, 45, 70, 80 და 100 პროცენტამდე საწყის ყურძნის წვენში არსებულ რაოდენობასთან შედარებით.

გლუტამინის მჟავა დუღილის პროცესში თანდათან მცირდება, ხოლო დუღილის დამთავრების დღიდანვე იწყებს მატებას. მაღლარ არეში პროლინსა და არგინინთან ერთად ყოველთვის არის თვალსაჩინო რაოდენობით. ღვინის დაძველებისას იგი განიცდის მნიშვნელოვან შემცირებას.

ყურძნის წვენში მცირედ მოცემული ამინომჟავები ან სრულიად არ იცვლებიან ალკოჰოლური დუღილის პროცესში (მეთონინი, ლეიცინი), ან მცირედ მცირდებიან (ფენილალანინი, გლიცინი, ლიზინი). მათ შორის ლეიცინი და ფენილ-ალანინი ოდნავ მეტი რაოდენობით გროვდება ღვინოში ავტოლიზის დროს. რაც შეეხება გლიცინს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამინომჟავა დუღილის დამთავრებისათანავე ინტენსიურად იზრდება და პირველი გადაღების დროს, სხვა ამინომჟავებისაგან განსხვავებით, სამჯერ მეტი რაოდენობით გროვდება, საწყის ყურძნის წვენთან შე-

